შპს ოპტიმალ გრუპ +
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0179,ჭავჭავაძის 17ა.
ტელ: +(995 32) 2 24 00 20
ელ.ფოსტა: info@ogplus.com.ge

LLC OPTIMAL GROUP +
A-type Inspection Body
17a Chavchavadze Ave,
Tbilisi 0179, Georgia
Tel.: +(995 32) 2 24 00 20
e-mail: info@ogplus.com.ge

ს/კ ID 404 911 592

GAC
ISO/IEC 17020:2012/2013
GAC –IB-0117

05 აპრილი 2018 წელი

ეგზემპლარი №1

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში №IR_18-02-A012/A/03

შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად

(ეგზ. №1 დამკვეთის; ეგზ. №2-ინსპექტირების ორგანოს)

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტებული ISO/IEC 17020:2012/2013, მ/ნ GAC-IB-0117.

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების/ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განმეორებით ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, ექსპერტიზაზე/ინსპექტირებაზე კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

აკრედიტაციის სფერო:
სამშენებლო ობიექტის პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება:

- არქიტექტურული ნაწილი.

ინსპექტირების (ექსპერტიზის)ობიექტი:
ქ. თბილისში ორბეტის სამრეწველო ზონაში (საკადასტრო კოდი 01.19.17.001.046) სასაწყობე შენობის პროექტი.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების საფუძველი:
განაცხადი ინსპექტირების ჩატარებაზე: **№18-02-A012**; 12.02.2018-ის ხელშეკრულება № **C_18-02-A012**;

დამკვეთი:
შპს „მე-13 ოთახი", (ს/კ 448403585), დირექტორი **ლევან ბაკურიძე** (პ/ნ:61007005491);

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი:
ინსპექტირების ტექნიკური მენეჯერი - **მარინე დულაშვილი**, არქიტექტორი, სპეციალობით მუშაობის სტაჟი - 17 წელი;

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განაცხადის მიწაარსი:
ქ. თბილისში ორბეტის სამრეწველო ზონაში (საკადასტრო კოდი 01.19.17.001.046) სასაწყობე შენობის კორექტირებული პროექტის (05.04.2018) არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, დამკვეთის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე.

ინსპექტირების დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტები, რომელთა სისწორესა და აუთენტურობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი:

1 პროექტის ელ.ვერსია (08.02.2018);
2 კორექტირებული პროექტის ელ.ვერსია (05.04.2018);
3 05.04.2018 შპს „მე-13 ოთახი"-ს წერილი N130-59-3-050-418/1 პროექტის კორექტირების თხოვნით.

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 10.02.2018 –05.04.2018

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში

დასკვნა

შპს „მე-13 ოთახი"-ს (ს/კ 448403585) მიერ, დირექტორი ლევან ბაკურიძე, განაცხადი №18-02-A012, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე, ქ. თბილისში ორხევის სამრეწველო ზონაში (საკადასტრო კოდი 01.19.17.001.046) სასაწყობე შენობის კორექტირებული პროექტის (05.04.2018) არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირების შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ კორექტირებული პროექტის (05.04.2018) არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

იხ. გამოკვლევითი ნაწილი;

იხ. დანართი №1 (ცხრილები) 3 (სამი) ფურცლად;

პროექტი ჩაწერილია DVD-R დისკზე 2 ეგზემპლარად.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიშს ეგზემპლარს №1 თან ერთვის DVD-R დისკი (319415-REC17263).

ეგზემპლარს №2 თან ერთვის DVD-R დისკი (319415-REC17301).

გამოკვლევა

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, დამკვეთის მიერ მოთხოვნილია ქ. თბილისში ორხევის სამრეწველო ზონაში (საკადასტრო კოდი 01.19.17.001.046) სასაწყობე შენობის კორექტირებული პროექტის (05.04.2018) არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, რომელიც მოიცავს:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი გამოუვნავების შეფასებას;

კ) ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ქ. თბილისში, ორხევის სამრეწველო ზონაში (საკადასტრო კოდი 01.19.17.001.046) სასაწყობე შენობის კორექტირებული პროექტის (05.04.2018) არქიტექტურულ ნაწილს ჩაუტარდა ინსპექტირება.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საპროექტო შენობა წარმოადგენს სასაწყობე სივრცეს, რომელშიც განთავსდება სარეკლამო პროდუქცია და ვადაგასული ჰიგიენური საშუალებები. საპროექტო შენობა არის ერთსართულიანი. სასაწყობე სივრცე სარეკლამო პროდუქციისთვის, რომელსაც უჭირავს ნაგებობის ძირითადი ფართი, სადაც არის მცირე დამხმარე სათავსო. შენობაში განთავსებულია პატარა ოფისი, საკუთარი სველი წერტილით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მზიდი კონსტრუქცია ე.წ. ორსკის ტიპის დიდმალიანი ლითონის კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ლითონის დგარებისა და კოჭების სისტემების ერთობლიობას.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გარე კედლები და გადახურვა: პოლიურეთანის სენდვიჩ პანელი. თავად პოლიურეთანის სენდვიჩი წარმოადგენს ლითონის ფურცლებს შორის პოლიურეთანის ქაფით შევსებულ საშრენებლო პანელს. სენდვიჩის გარეკანი 0,55 მმ-იანი გოფრირებული, ორმაგად გალვანიზებული და შეღებილი (RAL9002) თუნუქის ფურცლებია. სენდვიჩებს გააჩნია საკეტები, რომლის საშუალებით ხდება პანელების ერთმანეთზე მოქაჩვა, რაც უზრუნველყოფს შეერთების ადგილების მაქსიმალურ ჰერმეტიულობასა და თბოიზოლაციას. ასევე გამოყენებულია სპეციალური ფორმის ალუმინის პროფილები, ჭერის სენდვიჩის დამაგრებისათვის და სხვადასხვა ფორმის და ზომის თუნუქის კუთხოვანები, ჰერმეტიზაციის სილიკონები და მასტიკები.

შენობა აღჭურვილია 906 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრებით, 907 ქვეთავის მიხედვით სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემებით, 908 ქვეთავის მიხედვით საავარიო განგაშის სისტემებით.

წარმოდგენილ პროექტში, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნების შესაბამისად, შესრულებული არის დამაკმაყოფილებლად:

ა) დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვები გამოანგარიშებულია;

შენობისა და ნაგებობის კლასიფიცირებას გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით არეგულირებს მე-3 თავი.

წარმოდგენილი პროექტი არის სასაწყობე შენობა რომელშიც თავმოყრილია 2 დაკავებულობის ჯგუფი:

1. **სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (სარეცხი საშუალებები, ლითონი და პლასმასის დეტალები);

2. **საქმიანი ჯგუფი სქ** (ოფისი).

დაკავებულობის ფაქტორის განსაზღვრა ხდება 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილში მოცემული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით.

პირველ სართულზე განთავსებულია სასაწყობე სივრცე და ოფისი. სასაწყობე სივრცე (სარეცხი საშუალებები, ლითონი და პლასმასის დეტალები) კლასიფიცირებულია სასაწყობო ჯგუფი სწ-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 46.5 მთლიანი თითო დამკავებელზე, რომლის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 19 ადამიანს. ოფისი კლასიფიცირებულია საქმიანი ჯგუფი სქ და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე, რომლის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 3 ადამიანს.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე სასაწყობე შენობის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 22 ადამიანს.

ბ) კონსტრუქციის ტიპები;

შენობების კლასიფიცირებას კონსტრუქციის ტიპების მიხედვით და შენობის სხვადასხვა ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს არეგულირებს მე-6 თავი.

შენობის სტრუქტურას წარმოადგენს დიდმალიანი ლითონის კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ლითონის დგარებისა და კოჭების სისტემების ერთობლიობას.

შენობა ნაგებობის კონსტრუქცია შერჩეულია ცხრილი 601-ის მიხედვით. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის სთ) და წარმოადგენს V–B ტიპის კონსტრუქციას, შესაბამისად სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლისა დაფართობის) მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N1; დანართი №1).

გ) სიმაღლეების და ფართობების სიდიდეები;

მიშენება-დაშენებების სიმაღლესა და ფართობს არეგულირებს მე-5 თავი.

შენობა-ნაგებობის სიმაღლე და ფართობი განისაზღვრება 503 ცხრილის მიხედვით მე-6 თავის შესაბამისად განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და მე-3 თავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებით.

V–B კლასის კონსტრუქციული ტიპის შენობებისათვის, 503 ცხრილის მიხედვით შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 12.2 მეტრია, პროექტით შემოთავაზებული სიმაღლე კი 9 მეტრია, რაც ნორმებთან შესაბამისობაშია.

503 ცხრილის მიხედვით:

- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე სართულების მაქსიმალური რაოდენობაა V-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში სასაწყობო ჯგუფისათვის სწ-2 დასაშვებია 2 სართული, პროექტით შემოთავაზებულია 1 სართული, რაც ნორმების ფარგლებშია. საქმიანი ჯგუფისათვის სქ დასაშვებია 2 სართული პროექტით შემოთავაზებულია 1 სართული, რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N2; დანართი №1);

- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფის მიხედვით სასაწყობო ჯგუფი სწ-2, მაქსიმალური დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე V-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში დასაშვებია 1250 კვ.მ, შესაბამისად პროექტით შემოთავაზებულია 854.65 კვ.მ. რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. საქმიანი ჯგუფი სქ მაქსიმალური დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე V-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში დასაშვებია 840 კვ.მ, შესაბამისად პროექტით შემოთავაზებულია 25.56 კვ.მ. რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N3; დანართი №1).

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები;

გასასვლელი საშუალებების მოთხოვნებს არეგულირებს მე-10 თავი.

ცხრილი 1015.1 1021.1 და 1021.2 მიხედვით მიწისპირა სართულს ესაჭიროება 2 შენობიდან გამოსასვლელი, პროექტით გათვალისწინებულია 3, რაც ნორმების ფარგლებშია. (იხ. ცხრილი N4; დანართი №1).

ყველა დამოუკიდებელი ფართის მიმართ გასასვლელების რაოდენობა შერჩეულია ქვეთავი 1015-ის მოთხოვნების შესაბამისად. 1016 ქვეთავის მიხედვით გასასვლელთან მისადგომის საზღვრებში მოქცეული სავალი მანძილი უნდა გაიზომოს სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მომორებული წერტილიდან. პროექტში მითითებული გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილები შეესაბამება 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა გამოანგარიშებულია;

გასასვლელი საშუალების ზომას არეგულირებს 1005 ქვეთავი.

პროექტი წარმოადგენს 1 სართულიან შენობას, შესაბამისად მიწისპირა სართულზე მოწყობილია 3 შენობიდან გამოსასვლელი კარები. კარების სიგანეები და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N4; დანართი №1).

ვ) მისაწვდომობის მოთხოვნა;

მისაწვდომობის მოთხოვნებს არეგულირებს მე-11 თავი.

წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს სასაწყობე შენობას. 1103 ქვეთავის (რეგულირების საგნისადმი მოთხოვნები) მიხედვით აღნიშნული შენობა მისაწვდომობას არ საჭიროებს.

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნები;

შენობა-ნაგებობას, როდესაც ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (გზა) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აითვლება გზის ღერძიდან. დანარჩენ მხარეებზე კი ნაკვეთის საზღვრიდან. შენობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აითვლება პირობითი შუახაზიდან.

705.8 ცხრილის მიხედვით, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 6 მეტრია ან აღემატება 6 მეტრს და ნაკლებია 7.5 მეტრზე გარე კედელზე დუცველი საშხეფების გარეშე ღიობების დასაშვები ფართობი არის 45%. თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 7 მეტრია ან აღემატება 7 მეტრს და ნაკლებია 9 მეტრზე გარე კედელზე დუცველი საშხეფების გარეშე ღიობების დასაშვები ფართობი არის 70%. თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9 მეტრს გარე კედელზე დუცველი საშხეფების გარეშე ღიობების დასაშვები ფართობი არის შეუზღუდავი. შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში კედლის ღიობების ფართობები ნორმების ფარგლებშია (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

წარმოდგენილ პროექტში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე 602 ცხრილის მიხედვით გარე კედელზე მოთხოვნილი ხანძარმედეგობა არის 0 საათი, შესაბამისად პროექტითაც გათვალიწინებულია გარე კედლების ხანძარმედეგობა 0 საათი (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

თ) სახურავის ანაწყობები;

სახურავის ანაწყობებსა და სახურავზედა ნაგებობებს მე-15 თავი არეგულირებს.

წარმოდგენილ პროექტში შენობის გადახურვას წარმოადგენს პოლიურეთანის სენდვიჩ პანელი, ატმოსფერული ნალექებისგან დასაცავად მოწყობილია წყალ ამრიდი საშუალებები. სახურავის ანაწყობები შეესაბამება 1505 თავის მოთხოვნებს. V-B კლასის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს C კლასის სახურავების ანაწყობების მოთხოვნებს.

ი) ცეცხლმედეგობის გამმოჯნავები;

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების მოთხოვნებს არეგულირებს მე-7 თავი.

წარმოდგენილ პროექტში შენობა-ნაგებობის ცეცხლმედეგი მასალები აკმაყოფილებს 703 თავის მოთხოვნებს. ცხრილი 508.4 მიხედვით საქმიანი ჯგუფის სქ და სასაწყობე ჯგუფი სწ-2 შორის მოთხოვნილია 2 საათიანი გამმოჯნავი, შესაბამისად პროექტშიც გათვალისწინებულია 2 საათიანი გამმოჯნავი. შესაბამისი აღნიშვნები დატანილია გეგმებზე და ჭრილებზე, რაც ნორმების ფარგლებშია.

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემები;

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისადმი მოთხოვნებს არეგულირებს მე-9 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია: 906 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრები, 907 ქვეთავის მიხედვით სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, 908 ქვეთავის მიხედვით საავარიო განგაშის სისტემები. პროექტი ითვალისწინებს სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელ ჰიდრანტის მოწყობას (იხ. ცხრილი N6; დანართი №1).

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ანგარიშები;

წყალსადენი საშუალებებისადმი მინიმალურ მოთხოვნებს არეგულირებს მე-16 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები, დათვლილია და აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N7; დანართი №1).

შესაბამისად, წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის (05.04.2018) არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ კორექტირებული პროექტის (05.04.2018) არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება..

ექსპერტიზაში გამოყენებული მასალები და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28);
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 (2009.03.24), №63 (2017.02.06) და №104 (2017.02.23);

ტექნიკური მენეჯერი
არქიტექტორი — მარინე დოლაშვილი

ადმინისტრაციული წესით გადააბოჭვა:
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი — ალექსანდრე ველიჯანაშვილი

დანართი №1

ცხრილი N1

კონსტრუქციისტიპი:	
კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის	V-B

ცხრილი N2

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	2	1
საქმიანი ჯგუფი სქ	2	1
	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
შენობის სიმაღლე =	12.28	9მ
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =	1	

ცხრილი N3

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი სართულზე (მ²)	შემოთავაზებული ფართობი სართულზე (მ²)
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	1250	854.65
საქმიანი ჯგუფი სქ	840	25.56
შემოთავაზებული ფართობების ჯამი =	880.21 მ²	
იატაკების რაოდენობა =	1	
შენობის საერთო ფართობი =	935.89 მ²	

ცხრილი N4

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე სანტიმეტრებში					
				გზა-კიბეები		დერეფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1 სართული	სწ-2 დ.დ. 19	2/--	3/--	--	--	--	--	82სმ	90სმ
	სქ დ.დ. 3	1/--	1/--	--	--	--	--	82სმ	90სმ

ცხრილი N5

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი(ღერებში)	ხანძარსაწინააღმდეგო შახტილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი(საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	დასაშვები %			გათვალისწინებული		
				დაცული	დაუცველი სამხეცებით	დაუცველი	დაცული	დაუცველი სამხეცებით	დაუცველი
ა-ე	6.2	0	0	[illegible]	[illegible]	45%	--	--	13%
7-1	80.11	0	0	[illegible]	[illegible]	[illegible]	---	--	9%
ე-ა	8.2	0	0	[illegible]	[illegible]	70%	--	--	13%
1-7	13.83	0	0	[illegible]	[illegible]	[illegible]	--	--	1%

ცხრილიN6

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეებ ის/გასასვლელი საშუალებები	ავტომაშ ენი სისტემა	ალტერნატიულ ი ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომ ჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარებ ის სისტემები	კვამლის საკონტროლ ო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრე ბი	საევარიო განგაშის სისტემები
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	--	--	კი	--	--	კი	კი
საქმიანი ჯგუფი სქ	--	--	კი	--	--	კი	კი
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი			
სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი (განთავსებულია სახურავზე)				არა			

ცხრილი N7

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მამაკაცები	ქალბატონები	მამაკაცები	ქალბატონები	მამაკაცები	ქალბატონები	მამაკაცები	ქალბატონები	მამაკაცები	ქალბატონები	მამაკაცები	ქალბატონები
1 სართული	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 დ.დ. 19	1	1	1	1	-	-	1	1	1	1	-	-
	საქმიანი ჯგუფი სქ დ.დ. 3	1	1	1	1	-	-	-	-	1	1	-	-

მარინე დუღაშვილი



მობილური: **995593312173; 995598955055**
ელ-ფოსტა: **maridugashvili77@gmail.com**
ოჯახური მდგომარეობა: დასაქორწინებელი
დაბადების თარიღი: 11 ივლისი, 1977

განათლება

საქაართველოს საერთაშორისო აკადემია, **საქართველო**, ივნისი /2010 - ნოემბერი/2010
არქიტექტორი, სამეცნიერო წოდება - დოცენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **საქართველო**, თებერვალი/2000 - თებერვალი /2002
არქიტექტორი, ურბანისტიკის მაგისტრი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **საქართველო**, სექტემბერი /1995 - ივლისი/1999
არქიტექტორი, არქიტექტურა
დიპლომირებული სპეციალისტი

სამუშაო გამოცდილება

ტექნიკური მენეჯერი, ექსპერტი, A ტიპის ინპექტირების ორგანო შპს „ოპტიმალ გრუპ +“, (2017 წლის ივლისი- დღემდე)
მოვალეობა: არქიტექტურული პროექტების ინსპექტირება/ექსპერტიზა 2016 წლის 28 იანვრის, საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებ“- თან მიმართებაში.

დამფუძვნებელი, **შპს M&G**, ოქტ / 2014- დღემდე
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა, არქიტექტურული პროექტების ექსპერტიზა; ფირმის მართვა და მენეჯმენტი.

სამსახურის უფროსის მოადგილე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი, მერიის, ქონების მართვის,ურბანული დაგეგმარების და ეკონომიკური განვითარების სამსახური,
(აგვ / 2014 - ოქტ / 2014)
მოვალეობები: სამსახურის უფროსის მოადგილე ურბანული დაგეგმარების საკითხებში
მიზეზი: რეორგანიზაცია,

სამსახურის უფროსის მ/შ, თვითმმართველი ქალაქი რუსტავის მერიის ურბენული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახური, (აპრ / 2014 - აგვ / 2014)

მოვალეობები: სამსახურის დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები
მიზეზი: რეორგანიზაცია

სამსახურის უფროსის მოადგილე, თვითმმართველი ქ. რუსთავის მერია,
(აპრ / 2014 - აპრ /2014)
მოვალეობები: ურბანული დაგეგმარების და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.
მიზეზი: დაწინაურება

წამყვანი სპეციალისტი, თვითმმართველი ქალაქი რუსტავის მერიის ურბენული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახური, ივნ / 2008 - აპრ / 2014,
(70 თვე - 5 წელი და 10 თვე)
მოვალეობები: 1 ეტაპის პროექტების შემოწმება და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება; II, III და IV კლასის ობიექტების შემოწმება და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება; მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის პროექტების შემოწმება და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება; 1 კლასის შენობა-ნაგებობების განხილვა და შესაბამისი წერილობითი თანხმობის მომზადება; წერილობითი თანხმობის მომზადება იმ შემთხვევაში თუ არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას; გარე რეკლამის აუქციონის კომისიის მდივანი; არქიტექტურული კონკურსების ჩატარების კომისიის მდივანი; ქალაქის გეგერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრი/ წარმომადგენელი სამსახურიდან.

დირექტორის მოადგილე,თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის შპს "დიზაინ ცენტრი", ოქტ / 2006 - ივნ / 2008,
(20 თვე -1 წელი და 8 თვე)
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა, მენეჯმენტი და მართვა
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

დირექტორი, შპს M&G, ივნ / 2005 - ოქტ / 2006 (16 თვე - 1 წელი და 4 თვე)
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა, არქიტექტურული პროექტების ექსპერტიზა; ფირმის მართვა და მენეჯმენტი.
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

დირექტორი, შპს " პროექტი 2000", მარ / 2003 - ივნ / 2005,
(27 თვე - 2 წელი და 3 თვე)
მოვალეობები: მენეჯმენტი და მართვა
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს " პროექტი 2000", მარ / 2000 - აპრ / 2003 (37 თვე - 3 წელი და 1 თვე)
მოვალეობები: არქიტექტურული და დიზაინის პროექტების შექმნა
მიზეზი: დაწინაურება

უცხო ენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი),
რუსული (წერა:კარგი,მეტყველება:კარგი),
ინგლისური (წერა:დამაკმაყოფილებელი,მეტყველება:დამაკმაყოფილებელი)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (კარგი), Arc GIS (კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი),AutoCAD (კარგი), Adobe after effects (კარგი), Photoshop (ძალიან კარგი), ინტერნეტი (ძალიან კარგი).

ტრენინგები, სხვა მიღწევები

TBSC კონსალტინგ, სექტემბერი / 2014 - სექტემბერი / 2014
რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავება
USAID EPI საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,
აგვისტო /2014 - აგვისტო / 2014
შენობა–ნაგებობების უსაფრთხოების წესები
TBSC კონსალტინგ, მაისი / 2014 - ივნისი / 2014
რეგიონული განვითარების სტრატეგიების ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება საქართველოს ოთხი რეგიონისთვის

პროექტები

.არქიტექტურული და დიზიანი, იანვარი / 2000 - დღემდე
საზოგადოებრივი, საცხოვრებელი სავაჭრო, საზკვების, მრავალფუნქციური, არქიტექტურული, დიზიანის და სამშენებლო პროექტების შექმნა და ინსპექტირება/ექსპერტიზა.

საქ GAC

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0117

ადასტურებს, რომ

შპს „ოპტიმალ გრუპ +"-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #17ა

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებული შეფასების სფერო: 1. ობიექტის [illegible] ინსპექტირება; 2. ობიექტის [illegible] ინსპექტირება; 3. ობიექტზე [illegible] სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფარული #2 [illegible]); 4. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამუშაოების, [illegible] ინსპექტირება; 5. ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; 6. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობების, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზოვანი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ [illegible] შესაბამისობის შეფასება - ინსპექტირება, მათ შორის: საინჟინრო გეოლოგიური კვლევა/დასკვნა, საინჟინრო ჰიდროგეოლოგიური კვლევა/დასკვნა, კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ელ. მომარაგების სისტემები, სუსტი დენების სისტემები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები ([illegible]) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიციონირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; [illegible] არქიტექტურული ნაწილი. (იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო")

აკრედიტაციის ცენტრის

გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი

21 ივლისი 2017 წ.

ძალაშია

17 დეკემბერი 2018 წ.

საქ GAC

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამზადდა: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი"
დამამზადებელი: შპს „[illegible]". სესხ რეგისტრაციის № 06-3538

საქართველოს საერთაშორისო აკადემია
ГРУЗИНСКАЯ МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ
GEORGIAN INTERNATIONAL ACADEMY

დიპლომი

ДИПЛОМ DIPLOMA

დიდი სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის „25“ ნოემბრის გადაწყვეტილებით

მარინე დუღაშვილს

მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. (ოქმი №10/1)

The Academic council made a decision to confer a title of dotsent to

Marine Dughashvili

(proceedings №10/1 „25“ Novemb 20 10year)

დიდი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
აკადემიკოსი გ. ჩაფიძე
CHAIRMAN OF THE ACADEMIC COUNCIL,
AKADEMICIAN G. CHAPIDZE

№ა8 3643/1
25.11.2010

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

with honours

STU № 004559

This is to certify that Mr./Mrs. *Marine Dugashvili* in *the year 2002* completed a full Master's course of the *Georgian Technical University* majoring in *Urbanization*

By resolution of the State Examination Board, dated *February 28, 2002 Mrs. Marina Dugashvili* is conferred the degree of Master of *Architecture*

Rector

Seal

Chairman of the State Examination Board

Dean

City *Tbilisi* *March 28, 2002*

Registration № *0526* Secretary

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

სტუ № 004559

მიეცა *მარინე მიხეილის ასულ დუღაშვილს* მასზედ, რომ მან *2002* წელს დაამთავრა *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის* მაგისტრატურის სრული კურსი, სპეციალობით *ურბანისტიკა*

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *2002* წლის *28 02* გადაწყვეტილებით *მარინე მიხეილის ასულ დუღაშვილს* მიენიჭა *არქიტექტურის* მაგისტრის ხარისხი

რექტორი

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი *თბილისი* *28. 03. 2002წ.*

სარეგისტრაციო № *0526* მდივანი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0004837

WITH HONOURS

This is to certify that Mr./Ms Marine Bugashvili M.

in 1999 completed a full academic course of the Institute of Architecture of the Georgian Technical University

majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 15, 1999 Mr./Ms Marine Bugashvili M. is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Seal of Office

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City Tbilisi 22.07.1999

Registration № 1800

Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0004837

წარჩინებით

მიეცა მარინე მიხეილის ასულ ბუღაშვილს

მასზედ, რომ მან 1999 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის 15 ივლისის დადგენილებით მ. ბუღაშვილს მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 22.07.1999

სარეგისტრაციო № 1800

მდივანი